

**საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის მიერ 2010 წელს
გამოცხადებული სპორტული ავტომობილების ოფიციალური კლასები, შეჯიბრის
სახეობები და ტექნიკური მოთხოვნები**

საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაცია 2010 წელს ოფიციალურად აცხადებს ავტომობილების შემდეგ კლასებს და შეჯიბრის სახეობებს, აგრეთვე ამ შეჯიბრში მონაწილე სპორტული ავტომობილებისადმი წაყენებულ ტექნიკურ მოთხოვნებს.

საავტომობილო შეჯიბრის სახეობები:

1. წრიული რბოლა;
2. კლასიკური რალი;
3. სამთო რბოლა (აღმართების ჩქაროსნული დაძლევა)
4. წყვილთა რბოლა;
5. სამოყვარულო რალი;
6. სლალომი (ჩქაროსნული მანევრირება)
7. დრაგი (აჩქარება 402 მეტრზე)
8. კარტინგი
9. დრიფტი

მონაწილეთა ასაკობრივი ცენზი:

1. „ცეროდენას“ კლასი (კარტინგი 6-12 წლამდე)
2. „იუნიორ“ კლასი (11-21 წლამდე)
3. „სენიორ“ კლასი (18 წელი და ზემოთ)

სპორტული ავტომობილების კლასები

1. წრიული რბოლა - GTCC – 1.600; მონო/იუნიორი – 1.500 (Honda); მონო – 2000 (BMW).
2. კლასიკური რალი. სპორტული ავტომობილების მომზადება FIA-ს და სესფ-ის ტექნიკური რეგლამენტით.
3. კარტინგი 50სმ³ -125სმ³ ჩათვლით ძრავები

ტექნიკური რეგლამენტი „მონო-კლასის“ ავტომობილებისათვის

მონო/იუნიორი – 1.500 (Honda)

1. ავტომობილის მარკა – Honda (ნებისმიერი მოდელი)
2. ძრავი:
 - 2.1 მოცულობა – 1.500 სმ³-მდე –

დაშვებული ძრავების ნუსხა:

5th Generation (1992-1995)

EG1	D15B	JDM	All 3-door/4-door
-----	------	-----	-------------------

EG1	D15B7	USDM	1993-1995 del Sol S (SOHC)
EG4	D15B	JDM	All 3-door/4-door
EG8	D15B	JDM	All 3-door/4-door
EG8	D15B7	USDM	All 4-door DX/LX

დაშვებული დგუშები:

ძრავის კოდი	დგუშის კოდი	დგუშის ფორმა	ჩაღრმავება ამობურცულობა	სიმაღლე
D15B7	PM3	Flat Top	0.00	61.76

ძრავის დაშვებული ზედა ნაწილი (გალოგა)

კოდი	შემსვლელი სარქველი	გამსვლელი სარქველი
PM9	29	25

- 2.2 კვების სისტემა (საწვავის მიწოდების სისტემა) – მონო შეფრქვევით.
- 2.3 აუცილებელია ძრავის ყველა მბრუნავი ელემენტი (მაგ.: შკივები, მახავიკი და სხვა) შეესაბამებოდეს სტანდარტს მისი წონის და ზომის გათვალისწინებით.



- 2.4 ნამუშევარი აირების გამომშვების ტრაქტის კონფიგურაცია (პროექცია ზედხედში) – ქარხნული
- 2.5 დასაშვებია ნამუშევარი აირების გამომშვების ტრაქტში გამომშვები კოლექტორიდან უკანა მაყუჩამდე ცალკეული ელემენტების (მაგ. ალსაქრობი კატალიზატორი) მოცილება.
- 2.6 სავალდებულოა მაყუჩის ბოლო ნაწილში ქილის არსებობა. ზომა და ფორმა ინდივიდუალური (იგულისხმება როგორც სტანდარტული ასევე სხვადასხვა მწარმოებლის მიერ სპორტული და ნახევრად სპორტული ავტომობილისთვის სპეციალურად შექმნილი).
- 2.7 დასაშვებია მაყუჩის ქილის შიდა ტიხარების მოცილება
- 2.8 დასაშვებია ნამუშევარი აირების გამომშვები ტრაქტის ძირითადი ელემენტების (მიღების) დიამეტრის შეცვლა.

- 2.9 დასაშვებია ძრავის სტანდარტული საჰაერო ფილტრის ე.წ. „ნაკლები წინააღმდეგობის“ ფილტრის შეცვლა
- 2.10 ძრავის ბრუნთა რიცხვის მაქსიმალური ზღვარი 7000 ბრუნი წუთში (Rpm)

3. ავტომობილის წონა:

- 3.1 სრულად აღჭურვილი ავტომობილის წონა პილოტის და სპორტული ეკიპირების (დამცავი ჩაფხუტი, ხელთათმანები, კომბინიზონი) ჩათვლით – არანაკლებ 1000 კგ როგორც ტექნიკურ კომისიაზე, ასევე რბოლის დასრულების შემდეგ.

4. საბურავები:

- 4.1 დასაშვებია მხოლოდ საგზაო სტანდარტული (არა სლიკები ან ნახევრად სლიკები) საბურავები.
- 4.2 საბურავების და დისკის ზომები. რადიუსი – მაქსიმუმ 15 ინჩი, სიგანე – მაქსიმუმ 7j
- 4.3 . საბურავების და დისკის ტიპი და მწარმოებელი – ნებისმიერი საქარხნო, გარდა სპორტული და ნახევრად სპორტული ტიპის საბურავებისა.

5. სავალი ნაწილი:

- 5.1 დასაშვებია მხოლოდ ქარხნული შესრულებით (იგულისხმება ზომები), გარდა განივი მდგრადობის სტაბილიზატორისა, თუნდაც ამ უკანასკნელით ავტომობილის საქარხნო აღჭურვისა.

6. ტრანსმისია:

- 6.1 დასაშვებია მხოლოდ ჰონდის ნებისმიერი მოდელის სტანდარტული სინქრეტა კოლოფი და მთავარი გადაცემის წყვილი – არასაქარხნო სრული ან ნაწილობრივი თვითმავლოკირებელი მოწყობილობის გარეშე.

7. უსაფრთხოების პაკეტი:

- 7.1 უსაფრთხოების დამცავი კარკასი – FIA-ს საერთაშორისო სპორტული კოდექსის ან სესფ-ის მოთხოვნების შესაბამისად.
- 7.2 აუცილებელია კაპოტის (ან საბარგულის სახურავის) ჭილიბყურას არსებობა.
- 7.3 დასაშვებია სპორტული (ერთიანი) FIA-ს მიერ ომოლოგირებული სავარძელი, ან ვადაგასული ომოლოგაციით, ან სესფ-ის მიერ გაცემულ ავტომობილის ტექნიკური დოკუმენტიზე დაყრდნობით, თუ მის კორპუსზე არ შეინიშნება ვიზუალური ბზარები. სავალდებულოა სავარძლის მყარი ფიქსაცია, რომელიც აკმაყოფილებს სესფ-ის მოთხოვნებს.
- 7.4 ჩაფხუტი – დასაშვებია ნებისმიერი ომოლოგირებული ან ვადაგასული ომოლოგაციით, რომელსაც დათვალიერების შემდეგ ვარგისად ჩათვლის ტექნიკური კომისარი.
- 7.5 უსაფრთხოების ღვედები – დასაშვებია ნებისმიერი ომოლოგირებული ან ვადაგასული ომოლოგაციით, 4, 5, ან 6 წერტილიანი დამაგრებით რომელიც აკმაყოფილებს სესფ-ის მოთხოვნებს.
- 7.6 მრბოლელის კომბინიზონი – დასაშვებია ომოლოგირებული ნებისმიერი ტიპის, შეფერილობის ან ვადაგასული ომოლოგაციით ან სესფ-ის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვით.

- 7.7 მრბოლელის ფეხსაცმელი – დასაშვებია ნებისმიერი მწარმოებლის ომოლოგირებული ან ვადაგასული ომოლოგაციით, აგრეთვე, თხელ და რბილძირიანი სპორტული ტიპის ფეხსაცმელი სესფ-ის ადმინისტრაციული შემოწმების პროცედურის დასკვნის საფუძველზე.
- 7.8 საგაღებულოა ნებისმიერი ფერის ტიპის ჩაფხუტის შიდა ანტიალერგიული რბილი ქსოვილის დამცავი ქუდი.
- 7.9 ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება – დასაშვებია როგორც ომოლოგირებული სისტემური ცეცხლმაქრი, ასევე, მინიმუმ 2 კილოგრამიანი თხევადი, ან ფხვნილოვანი ნავთობდისტილატების პროდუქტების ჩაქრობისთვის განკუთვნილი სპეციალური ხელით სამართავი ბალონები, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური სახედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული ხარისხთან შესაბამისობის ან ვარგისიანობის სერტიფიკატი. ცეცხლმაქრის მუშა მდგომარეობაში მოყვანის მაქსიმალური დრო არ უნდა აღემატებოდეს 5 წამს როგორც მრბოლელისათვის, ასევე, რბოლის სტიუარდებისათვის.

8. სამუხრუჭე სისტემა:

- 8.1 ნებადართულია მხოლოდ ქარხნული სამუხრუჭე სისტემა.
- 8.2 ნებადართულია სპორტული (ლითონ-კერამიკული) ან ნახევრად სპორტული სამუხრუჭე ხუნდების გამოყენება სტანდარტული ზომების შეუცვლელად.
- 8.3 აკრძალულია სამუხრუჭე ძალის კონტურების მიხედვით (წინა უკანა) გადამანაწილებელი ონკანის დაყენება.
- 8.4 აკრძალულია სტანდარტული ხელის მუხრუჭის ნებისმიერი მოდიფიცირება ან გაუქმება.
- 8.5 აკრძალულია სამუხრუჭე ძალის ვაკუუმური გამაძლიერებლის გაუქმება (თუკი ასეთით აღჭურვილია ავტომობილი საქარხნო წესით)

9. საჭის მართვის სისტემა:

- 9.1 ნებადართულია საჭის ჰიდრო ან ჰიდრო-ელექტრო გამაძლიერებლის გაუქმება

10. დაკიდება:

- 10.1 ნებადართულია ამორტიზატორების და ზამბარების შეცვლა.

11. ავტომობილის ძარა:

- 11.1 დასაშვებია მხოლოდ სტანდარტული კონფიგურაცია. აკრძალულია აეროდინამიკური ელემენტების (ანტიფრთა, სპოილერი, არასაქარხნო ბამპერები) წინა და უკანა ფრთების კონფიგურაციის შეცვლა.
- 11.2 წინა საქარე მინაზე დასაშვებია საჩრდილობელი სტიკერის გაკვრა.
- 11.3 წინა საქარე მინა უნდა იყოს გამოკვეთილი ბზარების გარეშე.
- 11.4 მინის მწმენდები (ჯაგრისები) და შემომრეცხი უნდა უზრუნველყოფდეს მინის სწრაფ და მაღალი ხარისხით გაწმენდას.
- 11.5 ნებადართულია წინა ბამპერზე სავენტილაციო ნახვრეტების გაკეთება.
- 11.6 იკრძალება ბამპერის შიგნით, კარებში და ინსტრუმენტალური პანელის ქვეშ არსებული ძალური ელემენტების (თუკი ასეთი გათვალისწინებულია საქარხნო წესით) მოცილება.

12. ავტომობილის ინტერიერი:

12.1 ნებადართულია დამატებითი, ან (და) პარალელური მართვის პულტის დამონტაჟება (ძრავის გაშვების ღილაკი, მასის გამოსართველი და სხვა)

13. ავტომობილების ელექტრო სისტემა:

13.1 საჭიროა აკუმულატორის ზედა ნაწილის რეზინის ნაჭრით იზოლირება

13.2 ნებადართულია კომპიუტერის პროგრამირება.

14. ავტომობილის მაშუქი და სასიგნალო ელემენტები:

14.1 აკრძალულია ავტომობილის მაშუქი და სასიგნალო ელემენტების მოხსნა.

14.2 ავტომობილზე უნდა მუშაობდეს ავარიული სიგნალიზაცია.

14.3 აუცილებელია უკანა სდექ-სიგნალების და სამუხრუჭე ფარების გამართული მუშაობა.

14.4 სავალდებულოა ხმოვანი სიგნალის გამართული მუშაობა.

დაუშვებელია წინამდებარე რეგლამენტის ორმაგი განმარტება. ნებისმიერი საკითხის დაზუსტება და განმარტება მხოლოდ და მხოლოდ სესფ-ის ტექნიკური კომისიის პრეროგატივაა.

მონო – 2000 (BMW)

15. ავტომობილის მარკა – მხოლოდ **BMW E36** სედანი, 5 კარიანი (საბარგულის ჩათვლით)

16. ძრავი:

16.1 მოცულობა – 2000 სმ³-მდე

16.2 ტიპი – **M50** თუჯის ბლოკით. ვანოსის სისტემით ან ვანოსის სისტემის გარეშე **სრული ქარხნული კომპლექტაციით.**

16.3 სავალდებულოა ქარხნული აირების შემშვები და გამშვები კოლექტორები.

16.4 სავალდებულოა ქარხნული აირების შემშვები სარქველი (დროსელი)

16.5 სავალდებულოა ქარხნული საწვავის შეფრქვევის ინჟექტორები.

16.6 სავალდებულოა ნამუშევარი აირების გამოშვების ტრაქტის კონფიგურაცია (პროექცია ზედხედში) – ქარხნული

16.7 დასაშვებია ნამუშევარი აირების გამოშვების ტრაქტში გამომშვები კოლექტორიდან უკანა მაყუჩამდე ცალკეული ელემენტების (მაგ. ალსაქრობი კატალიზატორი) მოცილება

16.8 სავალდებულოა მაყუჩის ძირითადი ქილის (ნებისმიერი ზომის და ფორმის) არსებობა.

16.9 დასაშვებია მაყუჩის ქილის შიდა ტიხარების მოცილება

16.10 დასაშვებია ნამუშევარი აირების გამომშვები ტრაქტის ძირითადი ელემენტების (მიღების) დიამეტრის შეცვლა.

16.11 დასაშვებია ძრავის სტანდარტული საჰაერო ფილტრის ე.წ. „ნაკლები წინააღმდეგობის“ ფილტრის შეცვლა

- 16.12 სავალდებულოა ქარხნული ქანქარა (მახავიკი).
- 16.13 სავალდებულოა ქარხნული ღვედის დისკოები (შეივები)
- 16.14 სავალდებულოა ქარხნული მუხლა ლილვი (კალენვალი), დგუშები (პორშინები) და დგუშის ძელები (შატუნები).
- 16.15 დასაშვებია მხოლოდ ქარხნული გაზების გამანაწილებელი ლილვები (რასპრედივალები).
- 16.16 სავალდებულოა მოქმედებდეს ჰაერის მიწოდების ამთვლელი (ვოზდუხომერი)
- 16.17 დასაშვებია გაგრილების სისტემის ნებისმიერი ინსტალაცია.
- 16.18 დასაშვებია ძრავში ჰიდროკომპესატორების შეცვლა.
- 16.19 დასაშვებია ლამდა სენსორების გაუქმება.
- 16.20 დასაშვებია საწვავის წნევის რეგულირება

17. ავტომობილის წონა:

- 17.1 სრულად აღჭურვილი ავტომობილის წონა პილოტის და სპორტული ეკიპირების (დამცავი ჩაფხუტი, ხელთათმანები, კომბინეზონი) ჩათვლით – არანაკლებ 1250 კგ. როგორც ტექნიკურ კომისიაზე, ასევე რბოლის დასრულების შემდეგ.

18. საბურავები:

- 18.1 დასაშვებია მხოლოდ საგზაო სტანდარტული (არა სლიკები ან ნახევრად სლიკები) საბურავები.
- 18.2 საბურავების და დისკის ზომები. რადიუსი – მაქსიმუმ 17 ინჩი, სიგანე – მაქსიმუმ 9j. დისკის ტიპი და მწარმოებელი – ნებისმიერი საქარხნო.

19. სავალი ნაწილი:

- 19.1 სავალდებულოა მხოლოდ ქარხნული შესრულებით.

20. ტრანსმისია:

- 20.1 სავალდებულოა სტანდარტული სინქარეთა კოლოფი და მთავარი გადაცემის წყვილი – არასაქარხნო სრული ან ნაწილობრივი მოწყობილობის გარეშე.

21. უსაფრთხოების პაკეტი:

- 21.1 უსაფრთხოების დამცავი კარკასი – FIA-ს საერთაშორისო სპორტული კოდექსის ან სესფ-ის მოთხოვნების შეასაბამისად.
- 21.2 აუცილებელია კაპოტის (ან საბარგულის სახურავის) ჭილიბყურას არსებობა.
- 21.3 დასაშვებია სპორტული (ერთიანი) FIA-ს მიერ ომოლოგირებული სავარძელი, ან ვადაგასული ომოლოგაციით, ან სესფ-ის მიერ გაცემულ ავტომობილის ტექნიკური დოკუმენტიზე დაყრდნობით, თუ მის კორპუსზე არ შეინიშნება ვიზუალური ბზარები. სავალდებულოა სავარძლის მყარი ფიქსაცია, რომელიც აკმაყოფილებს სესფ-ის მოთხოვნებს.
- 21.4 ჩაფხუტი – დასაშვებია ნებისმიერი ომოლოგირებული ან ვადაგასული ომოლოგაციით, რომელსაც დათვალიერების შემდეგ ვარგისად ჩათვლის ტექნიკური კომისარი.
- 21.5 უსაფრთხოების ღვედები – დასაშვებია ნებისმიერი ომოლოგირებული ან ვადაგასული ომოლოგაციით, 4, 5, ან 6 წერტილიანი დამაგრებით რომელიც აკმაყოფილებს სესფ-ის მოთხოვნებს.

- 21.6 მრბოლელის კომბინიზონი – დასაშვებია ომოლოგირებული ნებისმიერი ტიპის, შეფერილობის ან ვადაგასული ომოლოგაციით ან სესფ-ის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვით.
- 21.7 მრბოლელის ფეხსაცმელი – დასაშვებია ნებისმიერი მწარმოებლის ომოლოგირებული ან ვადაგასული ომოლოგაციით, აგრეთვე, თხელ და რბილძირიანი სპორტული ტიპის ფეხსაცმელი სესფ-ის ადმინისტრაციული შემოწმების პროცედურის დასკვნის საფუძველზე.
- 21.8 სავალდებულოა ნებისმიერი ფერის ტიპის ჩაფხუტის შიდა ანტიალერგიული რბილი ქსოვილის დამცავი ქუდი.
- 21.9 ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება – დასაშვებია როგორც ომოლოგირებული სისტემური ცეცხლმაქრი, ასევე, მინიმუმ 2 კილოგრამიანი თხევადი, ან ფხვნილოვანი ნავთობდისტილატების პროდუქტების ჩაქრობისთვის განკუთვნილი სპეციალური ხელით სამართავი ბალონები, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური საზედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული ხარისხთან შესაბამისობის ან ვარგისიანობის სერტიფიკატი. ცეცხლმაქრის მუშა მდგომარეობაში მოყვანის მაქსიმალური დრო არ უნდა აღემატებოდეს 5 წამს როგორც მრბოლელისათვის, ასევე, რბოლის სტიუარდებისათვის.

22. სამუხრუჭე სისტემა:

- 22.1 სავალდებულოა ქარხნული ქვედა სამუხრუჭე სისტემა (იგულისხმება სუპორტები).
- 22.2 სავალდებულოა სამუხრუჭე დისკების ქარხნული ზომების შენარჩუნება.
- 22.3 ნებადართულია მხოლოდ სპორტული (ლითონ-კერამიკული) ან ნახევრად სპორტული სამუხრუჭე ხუნდების გამოყენება სტანდარტული ზომების შეუცვლელად.
- 22.4 დასაშვებია სამუხრუჭე ძალის კონტურების მიხედვით (წინა უკანა) გადამანაწილებელი ონკანის დაყენება.
- 22.5 აკრძალულია სტანდარტული ხელის მუხრუჭის ნებისმიერი მოდიფიცირება ან გაუქმება.

23. საჭის მართვის სისტემა:

- 23.1 ნებადართულია საჭის ჰიდრო ან ჰიდრო-ელექტრო გამაძლიერებლის გაუქმება.

24. დაკიდება:

- 24.1 ნებადართულია ამორტიზატორების და ზამბარების შეცვლა.

25. ავტომობილის ძარა:

- 25.1 დასაშვებია მხოლოდ სტანდარტული კონფიგურაცია.
- 25.2 წინა საქარე მინაზე დასაშვებია საჩრდილობელი სტიკერის გაკვრა.
- 25.3 წინა საქარე მინა უნდა იყოს გამოკვეთილი ბზარების გარეშე.
- 25.4 მინის მწმენდები (ჯაგრისები) და შემომრეცხი უნდა უზრუნველყოფდეს მინის სწრაფ და მაღალი ხარისხით გაწმენდას.
- 25.5 ნებადართულია წინა ბამპერზე სავენტილაციო ნახვრეტების გაკეთება.
- 25.6 იკრძალება ბამპერის შიგნით, კარებში და ინსტრუმენტალური პანელის ქვეშ არსებული ძალური ელემენტების (თუკი ასეთი გათვალისწინებულია საქარხნო წესით) მოცილება.

26. ავტომობილის ინტერიერი:

- 26.1 ნებადართულია დამატებითი, ან (და) პარალელური მართვის პულტის დამონტაჟება (ძრავის გაშვების ღილაკი, მასის გამოსართველი და სხვა)
- 26.2 დაუშვებელია სალონში ქეჩის და ააღებადი ხმის იზოლაციის არსებობა.

27. ავტომობილების ელექტრო სისტემა:

- 27.1 საჭიროა აკუმულატორის ზედა ნაწილის რეზინის ნაჭრით იზოლირება
- 27.2 აუცილებელია მხოლოდ ქარხნული ტიპის (BOSCH ან SIMENS) კომპიუტერის გამოყენება.
- 27.3 ნებადართულია კომპიუტერის პროგრამირება.

28. ავტომობილის მაშუქი და სასიგნალო ელემენტები:

- 28.1 აკრძალულია ავტომობილის მაშუქი და სასიგნალო ელემენტების მოხსნა.
- 28.2 ავტომობილზე უნდა მუშაობდეს ავარიული სიგნალიზაცია.
- 28.3 აუცილებელია უკანა სდექ-სიგნალების და სამუხრუჭე ფარების გამართული მუშაობა.
- 28.4 სავალდებულოა ხმოვანი სიგნალის გამართული მუშაობა.
დაუშვებელია წინამდებარე რეგლამენტის ორმაგი განმარტება. ნებისმიერი საკითხის დაზუსტება და განმარტება მხოლოდ და მხოლოდ სესფ-ის ტექნიკური კომისიის პრეზოგატივია.